კლდე

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ქვირა, თებერვლის 9. (იანვრის 26). 1919 წელი.

№ 28.

ფასი 50 ქაპ.

ყოველ-დღიური საერო-ეროვნული პოლიტიკური გაზეთი „კლდე“

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი 50 ქ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სასახლის ქ. № 5

ტელეფონი № 18—31.

ქართველ მებრძოლთ!

ქართველთა ლეგიონი

იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოდალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა!

მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ!

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა.

მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის სარდალი ლეო კერესელიძე.

საქართველოს ეროვნული პარტიის

საარჩევნო პლატფორმა.

მამულიშვილნო!

ეროვნული პარტიის ლოზუნგ „საქართველო ჯერ ქართველებისათვის“!

საქართველომ უნდა მოიპოვოს თავისი ისტორიული საზღვრები.

ეროვნული პარტია იცავს მტკიცედ კერძო საკუთრების ხელუხლებლობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მიწას საკითხი გარდაწყდეს სახელმწიფო, და არა ყაჩაღური წესით.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ამულის ჩამორთმევა მოხდეს ხელოვნად ისეთ შემთხვევაში, როცა ეს საჭიროა სახელმწიფო მოსაზრებით (ქართველ კლეხობის დასახლებისათვის).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნორმა მიწის მფლობელობისა გადიდებულ იქმნას ყოველგან ადგილობრივი პირობების მიხედვით

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ჩაბარებულ მიწაში მამულის პატრონს მიეცეს მისი ფასი.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნებადართული იქმნას მიწების კერძოდ ყიდვა-გაყიდვა (ქართველებისთვის)

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ უცხოელებს (ოსებს სომხებს, რუსებს) აეკრძალოს მიწის შეძენა საქართველოში სანამ არ დაკმაყოფილდება ქართველი გლეხობის საჭიროება (თავდაპირველად მიწა უნდა მიეცეს ჯარში ნამსახურ ქართველებს)

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მოსპობილ იქნას მონოპოლისტებისა და სპეკულიანტების პრივილეგიები და ქართველ ვაჭარ-მრეწველს საშუალება მიეცეს წესიერად აწარმოოს თავისი საქმე.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაუყონებლივ მოხდეს სრული ნაციონალიზაცია ყველა დაწესებულებათა (თავდაპირველად თფილისის ქალაქის თვითმართველობისა) და თანამდებობანი, რომელიც უცხოელებს აქვთ დაკავებული, გადაეცეს ქართველ მოხელეებს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ საქართველოს დასაცავად მოეწყოს ერთი, მთლიანი სამხედრო ძალა—მუდმივი რეგულიარული ჯარი; ყოველივე სხვა გვარი პარტიული რაზმები და გვარდია უნდა გაუქმდეს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაცული იქნას ეკლესიისა და სამღვდელოების ქონებრივი დოვლათი და მთავრობა მეტის პატივის ცემით მოეპყრა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს.

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც ერთ სოციალისტურ პარტიას: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ფედერალისტები, რევოლიუციონერები ყველა ბოლშევიკური ჯურის ხალხია და სულ სხვისი საკუთრების წართმევაზე ფიქრობენ; ჯერ სოფელს მორჩებიან, მერმე ქალაქის მესაკუთრეს მისდგებიან!

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც № 2-ს „ეროვნულ-დემოკრატებს“ (გაზეთ „საქართველოს“) არც რადიკალ-დემოკრატებს და არც უპარტიო დამოუკიდებლებს ესენი ყველა მენშევიკების მაჩახჩალა პარტიებია, ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა მათ არა სწამთ და ამიტომაც ხელი მოაწერეს ნ. ხომერიკის მიწის კანონებს.

მამულიშვილნო. მხოლოდ, „საქართველოს ეროვნული პარტია,“ დაიცავს მტკიცედ, ისე როგორც „კლდე“ სახელმწიფოებრივ პროგრამას.

სია № 8

„საქართველოს ეროვნულ პარტიის“ კანდიდატები

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

1. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე; პარლამენტის წევრი, გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.
2. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; განათლების კომის. წევრი.
3. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.
4. **გაბაშვილი** რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი, გზათა კომისიის წევრი.
5. **მაჩაბელი** მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი, აგრარულ კომისიის წევრი.
6. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე; ექიმი, პარლამენტის ყოფ. წევრი.
7. **ცაგარელი** ალექსანდრე ანტონის ძე; პროფესორი.
8. **სარაჯიშვილი** ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.
9. **გაბაშვილი** ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერი-ქიმიკოსი, კომერსანტი.
10. **ორბელიანი** გიორგი ილიას ძე; გენერალი.
11. **ჯანდიერი** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე; ექიმი.
12. **ელიაშვილი** ივანე სპირიდონის ძე; ექიმი.
13. **კაპანელი** (ჭანტურაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
14. **ეკალაძე** ია, (ცინცაძე) იაკობ თომას ძე; ლიტერატორი.
15. **ღოღობერიძე** დავით სიმონის ძე; ლიტერატორი.
16. **კელენჯერიძე** დავით ბესარიონის ძე;
17. **ციციშვილი** ივანე გიორგის ძე; მიწის მესაკუთრეთა „კავშირის“ წევრი.
18. **იშხნელი** მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.
19. **ღუდუშაური** ბართლომე; მღვდელი.
20. **ივანიცკი** ტარასი; დეკანოზი.
21. **მამრაძე** გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
22. **სიდამონ-ერისთავი** ვალერიან; მხატვარი.
23. **ნიჟარაძე** რაფაელ; პედაგოგი.
24. **კიკაბიძე** ლადო სპირიდონის ძე; სტუდენტი.
25. **ქასრაშვილი** კსენეფორე ნიკოლოზის ძე; მეურნე.

თფილისი, თებერვლის 9

სოჭის ომი.

23 იანვრიდამ საქართველოს ჩრდილო დასავლეთ საზღვარზე ნამდვილი ომი თურმე სწარმოებს:

იმ დღიდამ ვერაგულად დასხმული მტრის მახვილით იგმირება და სისხლიდან იწურება ქართველი მხედრობა, ტყვეთ მიჰყავთ ქართველი სარდლობა და ქართველი ერი მხოლოდ გუშინ ტყობილობს ამ საქმეს.

ვინც რევოლუციონურ—ინტერნაციონალური ბურუსით არ არის მოცული, ვინც ქართულ საქმეს ქართულის თვალით უყურებს იმისათვის ცხადი იყო, რომ ბორჩალოს სოჭა მოჰყვებოდა. ქართველი ერის ალმართულს მახვილს დენიკინისათვის პირველი დამარცხება სწორედ ძველ ბორჩალოში უნდა მიეყენებინა და მისი „მეშვიდე დივიზია“—სომხის ლაშქარი მთლათ უნდა შეემუსრა, მაგრამ ეს არ ინებეს.... რათა ჯარში დემოკრატიისათვის საფთხე სულის კვეთება არ ამართულიყო.

საქართველოს ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ რუსობა მისი განსაკუთრებითი მტერია. თუ ვინმე არის გულუპყვრილი ქართველი, რომელსაც სჯერა, რომ რუსეთი რაიმე სახეში, ბოლშევიკური იქნება იგი, ზომიერ-დემოკრატიული თუ ძველი წესწყობილებისა, შეურიგდება საქართველოს თუ იგი ამაზედ ძალამ არ აიძულა—მას არა აქვს წარმოდგენა არც თავისუფალ საქართველოზედ და არც რუსეთზედ. მთელი ბედა აზრი რუსეთის ისტორიისა— ოკეანისაკენ გასავალის ძებნა გახლავთ. ამ ომმა ვერ მისცა ეს შვება დამარცხებულს რუსეთს. პირიქით მან კულტურული და ძლიერი სახელმწიფოებით ჩააკეტა იგი და რუსეთიც მომავალშიაც უფრო სუსტისაკენ მოსძებნის ამ შვებას.

ეს მომავალის პერსპექტივები გახლავთ და ძალიან შორს გახლავთ დღევანდელ რუსეთის შეძლებისათვის, მით უმეტეს ისეთ ძალისათვის, როგორიც არის დენიკინის არმია.

საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო რუსეთის ნანგრევებზე აშენდა და ჩვენი კულტურული გაძლიერებაც უნდა მოხდეს იმ იარების და მუწუკების ამოშრეტა გაცილებით, რომელიც დასტოვა რუსეთმა ჩვენ ეროვნულ სხეულზედა ამაში ჩვენ სასტიკნი უნდა ვიყოთ.

და როდესაც კვლავ გვეტოტინება მურდალი ხელი—ქართველმა ერმა ლირსეული პასუხი უნდა გასცეს.

ჩვენი მთავრობის ლოლიაობა ჩვენი ერის სისასტიკემ უნდა გამოისყიდოს. ბორჩალოში დაუთმეთ ვიღასაც, შევწყვიტეთ ომი და ძლიერნი სუსტათ ვეჩვენეთ.

ეხლა აღარ უნდა იყოს ეს.

მთავრობამ უნდა მიიღოს სასტიკი და გადამწყვეტი ზომები.

უნდა გაიწმინდოს ჩვენი სამშობლო რუს-ოფიცრებისა და მოლალატეებისაგან.

მოხალისეთა ჯარის თარეში შინ და

საზღვარზე უნდა შესაფერისათ დაისაჯოს. ქართველმა ერმა უნდა მოაზღვაოს ენერგია და გამოისყიდოს მთავრობის შეცდომები და მორიდებულობა. სენტიმენტალიზმი დღეს დანაშაული და ღალატია სამშობლოს წინაშე.

ეხლა გაბედული, აშკარა პოლიტიკა გვმართებს, თორემ ხალხი თავისას იზამს და ,,ინტერნაციონალურ და სოციალისტურ'' ქვეყანაში ბართლომეს ღამესაც არ მოვესწროთ.

გაზეთების მიმოხილვა

მენშევიკები და ,,საქართველო''.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა მეორე ნომრის, პირველ ნომრისადმი ,,კეთილი განწყობილების'' შექმნა და ის ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის ღალატი, რომლის შემდეგ ,,საქართველოელებმა'' ,,აგრარული რეფორმა დიდ შემკრებ ძალათ გადააქცივეს განსაკუთრებით ქართული პროვინციებისათვის''.

მიუხედავათ იმისა, რომ მენშევიკები არც თუ ისე კარგი თვალით ხედავენ ,,საქართველოელთა'' მარჯვენა და მარცხენა ხელის სხვადასხვაობას, იგი მაინც განაგრძობს და სწერს:

,,ქართველი მენშევიზმი დღევანდელი საქართველოს სახეა, მეტი შეგნება მასას დაავიწყებს მარქსის დოქტრინებს და მენშევიკები იძულებული იქნებიან სოციალისტურ ფრაზეოლოგიით აკეთონ ისეთი საქმე, რომელსაც თვითონ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შენობას უძახიან''-ო.

და ბოლოს ჩვენ ვერ გაგვიგია, ეროვნულ პოლიტიკის მატარებელთა ოპოზიციის განელებისა, საქართველოს საზღვრებზე ეროვნულ ომების წარმოების სხვადასხვანაირათ დაფასებისა და პარტიის ღერძის, აგრარულ საკითხის დეკრეტულ ყაიდაზე მიღების შემდეგ, თუ ბურჟუაზიის საქმეც სოციალისტებმა აკეთა, რაღა დარჩებათ ,,საქართველოელთ''?

ნუ თუ მარტო ,,სალი კლდის'' ტ მის მიმდევართა უტიფარი გინება?

საქართველოს ამბები.

პარტიული კრება.

საქართველოს ეროვნულ პარტიის ვერის რაიონის ბიურო ამით აუწყებს პარტიის წევრებს და თანაგრძნობთ, რომ კვირას 9 თებერვალს საღამოს 5 საათზე დანიშნულია კრება ოლღას ქუჩაზე № 52, მაჩაბლის სახლში. კრებაზე გააკეთებენ მოხსენებას დამფუძნებელ კრებისა და არჩევნების შესახებ მთავარ კომიტეტის წევრები.

ხევსურთა ცალკე ასეული.

სამხედრო მინისტრის ბრძანებით პოდპოლკოვნიკ ავალიშვილს დაევალა ხევსურთა, მოხევეთა და ფშავთაგან ცალკე ცხენოსან ასეულის შედგენა.

ფოთის ნავთსადგურის უფროსის დანიშვნა.

ფოთის სამხედრო ნავთსადგურის და სამხედრო გემების რაზმის უფროსად კაპიტანი ჭავჭავაძე დაინიშნა.

ქალაქის საბჭოს 1 სხდომის წესრიგი.

ქალაქის გამგეობა გუშინ ახალ ხმოსნებს დაუგზავნა ქალაქის საბჭოს ორშაბათის სხდომის პირველად ქართულად დაბეჭდილი დღის წესრიგი, რომელიც შემდეგ საკითხებს შეიცავს: 1) საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა, 2) ქალაქის თავის, მისი ამხანაგის და გამგეობის წევრთა არჩევა, 3) კომისიების არჩევა და 4) გამგეობის მოხსენება გადამდებ სენიანთა მოსამსახურეთა მოთხოვნილების შესახებ.

ერობათა წარმომადგენლების ყრილობა.

თებერვლის ბოლო რიცხვებისთვის განზრახულია საქართველოს ერობათა წარმომადგენლების ყრილობის მოწვევა.

ატენის სახერხავი ქარხანა.

ს. ატენის სახერხავი ქარხანა მიწად მოქმედების სამინისტრომ გორის მაზრის ერობას გადასცა.

ბრძოლა ეპიდემიასთან.

საქართვ. რესპუბლიკის საგანგებო რწმუნებულის თანაშემწე და საექიმო—სასანიტარო ინსპექტორი ექიმი ი. ს. ელიაშვილი 7 თებერვალს გაემგზავრა საქართველოს ქალაქებსა და დაბებში ეპიდემიებთან საბრძოლველ ზომების მისაღებად. მას დავალებული აქვს შინ. საქმეთა სამინისტროსაგან გამოიკვლიოს, თუ სად რა საჭიროება არის დაუყონებლივ პარტახტიან და სხვა გადამდებ სენებთან შესაბრძოლებლად.

სახადი.

თებერვლის 6 გადამდებ სენიანთათვის ქალაქის საავადმყოფოებში მიიყვანეს სულ 49 სახადიანი, გამოეწერა 49 კაცი, გარდაიცვალა 3, დარჩა 1077.

ნავთი ქალაქისთვის

თფილისის ქალაქას გამგეობამ ბაქოში იყიდა 10 ვაგონი ნავთი, რომელიც მცხოვრებლებს იაფ ფასად დაურიგდებათ.

22,000 ფ. ხორბალ მოსვლა.

ფოთში გაიგზავნა 22 ვაგონი 22,000 ფუთი ხორბალის ჩამოსატანათ, რომელიც საქართველოს კოოპერატივთა კავშირს შეუსყიდია ყუბანში და ამ ჟამად უკვე ფოთშია ჩამოტანილი.

მოხალისეთა ჯარის თავდასხმა სოჭის ოლქში.

ბ. ხოჭოლავას მოხსენება.

გენერალ კონიაშვილმა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა სოჭის ოლქში მ. ხოჭოლავამ სოჭიდან პირდაპირი მავთულით 6 თებერვალს შეგვატყობინეს შემდეგი:

ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა: ,,როცა მე მოგახსენეთ სომხების მცხოვრებთან შეტაკების შესახებ, მაშინ მივათითე, რომ სომხებსა და ქართველთ მტრობაში მუშაობს რომელიღაც ბოროტი სული და პროვოკაციას სთესს. პროვაკაციამ მიაღწია... ჩვენ ვდგევართ მომხდარ ფაქტის წინაშე: დღეს, დილით 4 საათზე მოხალისენი და რაინდები ყოველ-მხრივ თავს დაგვესხენ. პირველათ აიღეს სადგური ლაო, გაანადგურეს იქ მდგომი სადარაჯო რაზმი, ნაწილი ტყვეთ წამოიყვანეს. სწრაფი ნაბიჯით მივიდენ ინსტიტუტამდე; ჩვენი ჯარები უკან იხევდენ. შუადღის შემდეგ, სოჭის ახლოს, ზურგში გამოჩდენ მოხალისენი და სომეხთა შეიარაღებული ბანდები. როგორც სჩანს, მათ ღამით შემოგვიარეს. ჩემ მიერ გამოწვეული გენერალი კონიაშვილი და პოლკოვნიკი წერეთელი სოჭაში შესვლის დროს ძლიერ ტყვიის ცეცხლში მოხვდენ; სოჭაში ისინი დაატყვევეს მოხალისეებმა. ჩვენმა არტილერიამ, რომელმაც არ იცოდა რა დაემართა კონაშვილს, დაუწყო სროლა მოხალისეებს, რომელთაც ქალაქის ამაღლებული ადგილები ქონდათ დაკავებული. ქალაქში თოფის სროლა დაიწყო. არტილერია სროლას განაგრძობდა, ჩვენ შევაჩერეთ ცეცხლი, როგორც კი დავინახეთ თეთხი ბაირაღი. მოხალისეთა დელეგაცია თეთრი ბაირაღით მოვიდა ჩვენთან. მე იგი მივიღე. დელეგატებმა დაიწყეს ლაპარაკი კონფლიკტის მშვიდობიან მოგვარებაზე და სროლის შეწყვეტის შესახებ. მე ეს მათ შევპირდი იმ პირობით, თუ დაუყონებლივ გაანთავისუფლებდენ გენ. კონაშვილს, პოლკ. წერეთელს და პეტრიევს; რადგან ვამბობდი, რომ ამგვარ დიდ საქმის შესახებ ჯარის სარდალს უნდა მოველაპარაკოთქო. ჩემი მოთხოვნილება აასრულეს სწრაფი თათბირის და წინასწარ ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ. გენერალი კონიაშვილი თვით წავიდა მოხალისეთა ჯარის სარდალ ბურნევიჩთან მოსალაპარაკებლათ. მოხალისეთა ჯარი დაგომისის მხრიდან უკვე სოჭას უახლოვდებოდა. როგორც წინდაწინ ჩვენ შევთანხმდით, გენერილ კონიაშვილმა გენერალ ბურნევიჩს შემდეგი საკითხები დაუსვა: 1) ომი გამოუცხადა მოხალისეთა ლაშქარმა საქართველოს რესპუბლიკას თუ არა? 2) თანახმაა თუ არა მოწინააღმდეგე მხარე შესწყვიტოს სამხედრო მოქმედება და გაჩერდეს იმ ადგილებზე, რომელზეც უკანასკნელ წუთში გაჩერებული იყო? 3) ჩვენ უნდა მოგვეცეს საშუალება გამოველაპარაკოთ მთავრობას და მოვახსენოთ გარემოების შესახებ.

ამის საპასუხოთ გენერალ კონიაშვილს წარმოუდგინეს ულტიმატუმი.

პასუხი:

გენერალ კონიაშვილს იქ პასუხი არ მიუცია, ჩვენთან მოულაპარაკებლათ. იგი დაბრუნდა ამ ულტიმატუმით და თან მოიყვანა ორი პოლკოვნიკი ზოტოვი და ეფრემოვი. მე ვერ დავეთანხმე რაიმე გადაწყვიტის მიღებაზე, სანამ ჩვენს მთავრობას არ შევატყობინებდი. მე მოვსთხოვე მოხალისეთა ჯარს მოეცა საშვალება რესპუბლიკის მთავრობას დავლაპარაკებოდი პირდაპირი მავთულით. ჩემს მოთხოვნილებას იმით ვასაბუთებდი, რომ მე და გენერალი კონიაშვილი პასუხს გავცემთ ჩვენ ქვეყოფ პირების მოქმედებაზე. მაგრამ მცხოვრებთა მოქმედებაზე არა. და ჩემთან კი ულტიმატუმის მიღებამდე ნახევარი საათის ადრე მოვიდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დელეგაცია და წინადადება მომცა იარაღით ხელში წავსულიყავით მოხალისეთა ჯარის წინაალმდეგ და განმიცხადა, რომ ცოცხლათ მოხალისეებს არ დანებდებიან. დილიდანვე ვაცოდი მცხოვრებთა ერთსულოვან შეიარაღების შესახებ. ამიტომაც მოხალისეთა ლაშქრის გენერალისგან მოვითხოვდი, რომ საშუალება მოეცათ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობისაგან დირექტივები მიგვეღო. მოველით თქვენგან გარკვეულ დირექტივებს''.

ს ო ჭ ა.

გენერალი კონიაშვილი: ,,სოჭა თოფის ძლიერ ცეცხლშია. გარშემორტყმის ფაქტის წინაშე აღმოვჩდით. ზურგში მოხალისეებმა გზა გადაგვიჭრეს და მაღლობები დაიკავეს. მდგომარეობა მძიმეა. ფრონტზე მრავალი მკვდარი და დაჭრილია.

ხ ო ს ტ ა.

ხოსტაში მოხალისეები ზურგში მოგვექცენ. გადმოსხეს დესანტი. ზღვაში სდგას ნაღმოსანი და ნიშანს მოელის. გთხოვთ კატეგორიულ ბრძანებას.

გენერალი კ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი.

მთავრობის პასუხი.

ამის საპასუხოთ საქართველოს მთავრობამ შესაფერი დირექტივები გასცა.

პირდაპირ მავთულზე ლაპარაკის შეწყვეტა.

სოჭასთან პირდაპირი მავთულით მოლაპარაკება სწარმოებდა ღამით 7 თებერვალს, დილით 7 საათზე სოჭასთან დამოკიდებულება შესწყდა.

ინგლისის მისიას.

ზემოხსენებულ ცნობების შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა შეატყობინა ინგლისის მისიას თფილისში.

მისიის დეპეშა.

ინგლისის მისიამ დაუყონებლივ დეპეშა გაუგზავნა მოხალისეთა რაზმის უფროსს და მოსთხოვა შესწყვიტოს სამხედრო მოქმედება.

სამხედრო წესები.

სოხუმის და გაგრის ოლქებში გამოცხადებულია სამხედრო წესები და ამ ოლქების გენ. გუბ. დანიშნულია გენერალი ი. გედევანიშვილი.

მთავრობის ნოტა

ინგლისის მისიის უფროსს

საგარეო საქმეთა მინისტრმა თებერვლის 7 ინგლისის მისიის უფროსის შემდეგი № 900 ნოტით მიმართა: ,,თქვენ უდიდესებულებას მოეხსენება, რომ სოჩის ოლქი ჩვენ გვეპყრა მოკავშირეთა ჯარის სარდლობის თანახმობით და თხოვნით და ამიტომ საქართველოს მთავრობა, [illegible] ფიქრობდა, რომ ასეთი მდგომარეობა [illegible] გებრობას არ გამოიწვევდა ვინმეს მხრიდან. იანვრის 29 ნოტით მე მქონდა პატივი მეუწყებია თქვენ უდიდესებულებისთვის, სოჩის ოლქის რაიონში მოხალისეთა ჯარის კონცენტრაციის შესახებ და გთხოვდით შეგეტყობინებიათ ჩემთვის შესაფერი ცნობები, რათა საქართველოს მთავრობა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ეს კონცენტრაცია საქართველოს წინააღმდეგ არ არის მიმართული. ამის საპასუხოთ თქვენმა უდიდებულესობამ იანვრის 31 და თებერვლის 1 ის № 124/5 ნოტით ინგლისის ჯარის უმაღლეს სარდლის დავალებით მაუწყა, რომ ინგლისის მთავრობამ დენიკინს წინადადება მისცა დაეცვა საქართველოს მთლიანობა და თავი შეიკავოს მის შინაურ საქმეებში ჩარევიდან. საქართველოს მთავრობა ამ ნოტას საკმაო გარანტიათ სთვლიდა, რომ ხსენებულ რაიონში მოხალისეთა ჯარის კონცერტრაცია საქართველოს წინააღმდეგ არ არის მიმართული. მიუხედავათ ამისა ჩვენ მივიღეთ ოფიციალური ცნობა, რომ თებერვლის 6 მოხალისეთა ჯარის ნაწილი მზაკრულათ თავს დაესხა სოჩის ოლქში მყოფ ჩვენ სამხედრო ნაწილებს და იმავე დღის საღამოს მოხალისეთა ჯარის ტუაფსის რაზმის უფროსმა გენ. ბრუნევიჩმა სოჩის ოლქის ჩვენი ჯარების სარდალს გენ. კონიაშვილს წარუდგინა შემდეგი შინაარსის ულტიმატუმი:

,,გენერალ კონიევს, მე მივიღე ბრძანება ჩემი უფროსიდან დავიკავო სოჭის ოლქი, ვინაიდან სოჭის ოლქში ხდება ცარცვა გლეჯა და ძალადობა. ამიტომაც თქვენ აღმატებულებას წინადადებას ვაძლევ სისხლის ღვრის თავიდან ასაცდენათ რაზმის იარაღი და საომარი მასალა ჩაბარეთ ყველა მეომარი ქართველი [illegible] ადმინისტრაციის პირნი თავისუფალნი იქნებიან იარაღის დაყრის შემდეგ და შეეძლებათ საქართველოში წასვლა. იარაღის დაყრა უნდა მოხდეს 1919 წ. 24 იანვარს, ღამის 12 საათზე, № 157.

ტუაფსის რაზმის უფროსი გენერალ მაიორი ბურნევიჩი. რაზმის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი ეფრემოვი.

გადაცემულია 1919 წლის 24 იანვრის 17 საათზე. პოლკოვნიკი ე ფ რ ე მ ო ვ ი.

,,თუ ამ დროზე იარაღი დაყრილი არ იქნება, რაზმს წამოიყვანენ სოჭაზე.

გენერალ-მაიორი ბ ურ ნ ე ვ ი ჩ ი''.

მიაჩნია რა, რომ მოხალისეთა ჯარის ასეთი გამოსვლა მზაკვრულია და საქართველოს რესპუბლიკაზე სრულიად უსაბუთოდ თავდასხმა პირდაპირ აღლვევს თქვენი უდიდესებულების დაპირებას, რომელსაც შეიცავდა იანვრის 31—თებერვლის 1 № 124—125 ნოტა,—საქართველოს მთავრობამ დამავალა ენერგიული პროტესტი განვუცხადო თქვენ უდიდესებულებას მოხალისეთა ჯარის ასეთი გამოსვლის გამო და განგიცხადოთ, რომ საქართველოს მთავრობა ურთიერთ ზედგავლენის პრინციპის თანახმად მიიღებს ყველა ზომებს თავის ინტერესების დასაცავათ და იარაღით ხელში დაიკავს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ხელშეუხლებლობას და მისი ხალხის უფლებებს და ინტერესებს''.

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

არაბეთის ეროვნული დროშა.

არაბეთის ახალმა სახელმწიფომ ოთხი ფერისაგან შემდგარი ეროვნული დროშა გამოიმუშავა: წითელი, შავი, თეთრი და მწვანე. ეს ფერები დღემდე არსებულ ყველა არაბთა სახელმწიფოებს ეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ეროვნული ყრილობა.

ვეიმარში თებერვლის 6 გაიხსნება გერმანიის ეროვნული ყრილობა მისალმების შემდეგ პოლიტიკური ხასიათის სიტყვა წარმოსთქვა.

თუმცა გაფიცვები უკვე დასრულდა, მაგრამ ბერლინი მაინც არ არის განათებული, რადგან ნახშირის შემოზიდვა შესწყდა. ნახშირის სიცოტავე გერმანიის სხვა ქალაქებსაც ემჩნება.

სახელმწიფო ფონდის გაქურდვა ოსმალეთში.

სალონიკის ოსმალური გაზეთები აქვეყნებენ ოსმალების ფინანსთა მინისტრის ბრძანებას, რომელიც ააშკარავებს, რომ ენვერ-ფაშამ ისარგებლა სამხედრო სამინისტროში ყოფნით რათა გადაეცა (.) ფაშისთვის საკმაოთ დიდი ფული. პირველათ სახელმწიფო ფონდიდან გატანილ იქნა 9 მილიონი, შემდეგ ნურიფაშამ მიიღო 10 მილიონი ფრანკი, რომელიც აგრეთვე სახელმწიფო ფონდიდან იყო გატანილი.

საბჭოები ამერიკაში

,,დეილი მეი'' ნიუ-იორკიდან აუწყებენ რომ ამერიკის რამოდენიმე დიდ ქალაქმა რუსეთის მაგვარათ სდგება მუშათა დეპუტატების საბჭო.

მონარქისტების და რესპუბლიკანელების ბრძოლა პორტუგალიაში

მონარქისტებმა და რესპუბლიკანებს შორის ბრძოლა გრძელდება. ცხენოსან ჯარის იერიშის მოლოდინში ლისაბონის ქვედა უქანში მეზღვაურებმა ააშენეს ბარიკადები. ალმეიდა გამოდის ქალაქის მოედანებზე. ბრბო სალამს უძღვნის მან, როგორც რევოლიუციის დამწყებს.

საზავო კონფერენცია.

გერმანიის ახალ-შენები დი საზავო კონფერენცია.

რეიტერის სააგენტო იუწყება, სამშვიდობო კონფერენცია ვერ შეთანხმდა გერმანიის ახალშენების საკითხში და ამიტომ ეს საკითხი დროებით წესრიგიდან მოიხსნაო.

ალანდიის კუნძულები და საზავო კონფერენცია.

ალანდიის კუნძულების დელეგაციამ, რომელიც პარიზში გაიგზავნა, საზავო კონფერენციას მემორანდუმი წარუდგინა. მემარანდუმი ასე იწყება: ,,ალანდიის მცხოვრებლებმა გარკვეულათ თითქმის ერთხმათ გამოსთქვეს შვეიციისთვის ალანდიის კუნძულების დაბრუნების სურვილი. თავის დელეგატების საშუალებით არა ერთხელ აღუძრავთ შუამდგომლობა შვეციის მეფისა, მთავრობისა და მოკავშირეთა წინაშე. ალანდიის კუნძულების შვეციასთან დაახლოვებისა და უწინდელ პოლიტიკურ კავშირის აღდგენის მისწრაფების ასახსნელათ ჩვენ მოგვყავს ზოგიერთი ფაქტები, რომელიც მართლა ამტკიცებს მათი მისწრაფების სამართლიანობას. ისტორიულ და აგრეთვე ეკონომიური, გეოგრაფიული ლინგვისტური თვალსაზრისით ყველაფერი იმის სასარგებლოთ ლაპარაკობს, რომ ალანდიის კუნძულები შვეციის პროვინციათ უნდა იქნეს აღირებული.

არჩევნების გარშემო.

ეროვნულ პარტიის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი.

საქართველოს ეროვნულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი მოთავსებულია გაზ. ,,სალი კლდის'' რედაქციის ბინაზე სასახლის ქუჩა № 5. ყველა პარტიულ ორგანიზაციებს საჭირო ცნობების და საარჩევნო ლიტერატურის მიღება შეუძლიათ ხსენებულ საარჩევნო კომისიისაგან.

იქვე შეუძლიათ მიიღონ საჭირო ცნობები, განმარტებები და ლიტერატურა პარტიის ყველა წევრთ და თანამგრძნობთ. კომისიის წევრთა მორიგეობა ყოველ დღეა, დილის 10—2 საათ. და საღამოს 5—7 ს.

არჩევნები კარს მოგვადგა თითო წუთი ძვირფასია არ დაჰკარგოთ დრო იმუშავეთ განუწყვეტლივ ჰბეჭდეთ პლაკატები: ფურცლები, მოწოდებანი აფიშები, ნუ შეგაკრთობთ მომუშავეთა სიცოტავე. შემოიკრიბეთ გარს ყველა ამხანაგი ქალი კაცი, ახალგაზრდა, მასწავლებელი და მოსწავლე. ვინც პირადი საქმის გამო დაიკლდება პარტიულ მუშაობას, მას არ ჰყვარებია საქართველო. მხნეობა და მოქმედება. ბრძოლა და გამარჯვება. ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და იმ პირთ, რომელთა კომიტეტისაგან მიღებული აქვს რაიმე დავალება, სწრაფად აცნობონ ცენტრალურ კომიტეტს საქმის ვითარება, და ყოველი საყურადღებო ცნობა, რომ საარჩევნო კომპანიაში შესაძლებელი იქნეს ყველა პარტიულ დაწესებულებათა მტკიცე ორგანიზაციაში შეკვრა.

1) პროპაგანდისტები ქუთაისის გუბერნიაში მოითხოვეთ ქუთაისის საგუბერნიო საარჩევნო კომისიას, თფილისის გუბერნიაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

2) უნდა მოაწყოთ დაუყონებლივ საარჩევნო კომისიები ყველა იმ პუნქტში, სადაც ყუთები იდგმება.

3) ყველა საარჩევნო კომისიაში უნდა გაგზავნოთ ჩვენი წარმომადგენელი.

4) ხარჯებს უნდა გაუძღვეთ როგორმე ადგილობრივ, ცენტრიდანაც დაგეხმარებით.

5) ყოველი ცნობები მიაწოდეთ საგუბერნიო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს.

6) აწარმოვეთ დაწვრილებითი ანგარიშები, რომელსაც წარმოუდგენთ ცენტრალურს კომისიას მუშაობის დასრულების შემდეგ.

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი.

— —

პარტიულ ახალგაზრდობას.

საარჩევნო კომპანია დაიწყო.

არჩევნების შედეგი ჩვენს მუშაობაზედ არის დამყარებული.

ეროვნულ პარტიის ახალგაზდობა უნდა ამოქმედდეს მთელი თავისი ენერგიით.

ყოველი პარტიის წევრი და თანამოაზრე უნდა გამოცხადდეს პარტიულ კომიტეტებში და მიიღოს სათანადო დავალება.

თფილისში მყოფნი უნდა გამოცხადდნენ მთავარი კომიტეტის ბინაზე, სადაც იმყოფება ცენტრალური საარჩევნო კომიტეტები და ჩაებან საარჩევნო მუშაობაში.

ყოველი კაცის გარჯა დიდ ნაყოფს გამოიღებს!

ეხლა გულგრილობა ღალატია პარტიისა და სამშობლოსი, ყველა ფეხზე დავდგეთ და არც ერთი ხმა არ დაუკარგოთ პარტიას. ჩვენ გვაკლია მომუშავე ძალები, თქვენ ქალებო, სტუდენტებო, მოწაფეებო, ახალგაზრდებო ყველა, ვისაც სურს, რომ დამფუძნებელ კრებაზე გაისმოდეს ეროვნული პოლიტიკის ძალუმი ხმა, მოდით მუშაობის გასანაწილებლად.

პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში

1. ყველა ორგანიზაციამ და საარჩევნო კომისიების ყოველივე წევრმა უნდა შეიძინოს ,,დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა'', გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკის'' ოფიციალური დამატება.

2. როდესაც შესდგება საქალაქო, ქალაქის საუბნო. სამაზრო, სოფლის საზოგადოების და სოფლის წვრილი საარჩევნო ერთეულების კომისიები, ორგანიზაციებმა უნდა წინასწარ მიიღონ ღონისძიებანი, რომ თავისი წარმომადგენელი იყოლიონ.

3. გარდა ასეთი წარმომადგენლობისა. როცა ჩვენი პარტიის საკანდიდატო სია იქნება წარდგენილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ზემოდხსენებულ კომისიებში უნდა გაჰგზავნონ თითო წარმომადგენელი პარტიისა.

4. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ უდიდესი ყურადღება, თუ სად იდგმება საარჩევნო ყუთები და არ გამორჩეთ არც ერთი ყუთი უწარმომადგენლოთ.

5. ორგანიზაციებმა უნდა დაავალოს თავის მიერ გაგზავნილ წარმომადგენლებს კომისიებში, რომ არ გამოსტოვონ კომისიის არც ერთი სხდომა, ერთი წუთითაც არ მოჰშორდნენ ყუთს არჩევნების წარმოების დროს, ყოველთვის აცნობონ პარტიულ ორგანიზაციას რა ხდება საარჩევნო კომისიებში, მოითხოვონ კომისიებში ,,დებულების'' სასტიკი დაცვა და ყოველივე დარღვევა დებულებისა შეიტანონ ოქმებში.

6. ჩვენმა წარმომადგენლებმა კომისიებში უნდა სასტიკი მეთვალყურეობა დაიჭირონ, რომ რაიმე მიზეზისა გამო არ დაბრკოლდეს ჩვენი საკანდიდატო სიების (საარჩევნო ბარათების) და კონვერტების დროზე დაგზავნა და გამოქვეყნება ყველა არსებულ საარჩევნო კომისიებისთვის და ამომრჩეველებისთვის.

7. ორგანიზაციებმა უნდა თვალყური ადევნონ, რომ ადმინისტრაცია არ ჩაერიოს არჩევნების წარმოებაში, არავითარი ძალმომრეობა არ მოახდინოს ან დაშინება ამომრჩეველისა. ყოველივე ასეთი შემთხვევა უნდა აცნობოს სათანადო საარჩევნო კომისიას და პარტიულ ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტს.

8. ყოველმა ორგანიზაციამ უნდა შეჰქმნას საგანგებო საარჩევნო პარტიული კომისიები: საქალაქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოების და წვრილი სასოფლო ერთეულებისა,

9. ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში გარდა ზემოდ ჩამოთვლილ პარტიულ საარჩევნო კომისიისა უნდა იყოს საგუბერნიო და საოლქო კომისიები.

10. პარტიულ საარჩევნო კომისიებს ევალებით: თავის სამოქმედო რაიონში არ გამოსტოვონ არც ერთი ამხანაგი, რომ ამომრჩეველთა სიაში არ იყოს შეტანილი და ამრიგად არ დაჰკარგოს ხმის უფლება, დაარიგონ და გაავრცელონ მოწოდებანი, პლაკატები, საარჩევნო ბარათები, ბროშურები. გამართონ პარტიული კრებები და საჯარო მიტინგები პარტიის ლოზუნგების ხალხში გასატანად. შეჰქმნან პროპაგანდისტების კადრი და დაჰგზავნონ ყველა საარჩევნო რაიონებში.

11. ქუთაისის საგუბერნიო, სოხუმის საოლქო და თფილისის გუბერნიის სამაზრო საარჩევნო კომისიებს ევალებათ მჭიდრო კავშირი დაიჭირონ თავის მოქმედების დროს პარტიის ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტთან და აგრედვე თავის რაიონში მოქმედ სხვა კომიტეტებთან ყოველივე საჭიროება ან და ნაკლი საარჩევნო მუშაობისა სასწრაფოდ უნდა აცნობონ საცა ჯერ არი.

12. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ენერგიული ზომები პარტიულ საარჩევნო კომისიებისთვის საჭირო თანხის შესაძენად შეადგინონ, საგანგებო ხარჯთაღრიცხვა და აცნობონ ცენტრალურ კომიტეტს.

13. ორგანიზაციებს არ უნდა გმაორჩეთ არც ერთი პარტიული ძალა გამოუყენებლივ,

საქართველოს ეროვნულ პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

— —

ადმინისტრაცია და არჩევნები.

დამფუძნებელ კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ იმ ამომრჩეველთ, რომელთაც საადმინისტრაციო თანამდებობის ალაგები უკავიათ, მომავალ არჩევნებში არ შეეძლოთ გამოსვლა, როგორც ადმინისტრატიულ პირთ, ერთი თუ მეორე პარტიის ინტერესების დასაცველად. ამასთან დადგენილია მიმართოს შინაგან საქმეთა მინისტრს თხოვნით, გამოსცეს ამის შესახებ სათანადო ბრძანება და ყველა ადმინისტრატიული პირნი, ვინც დაარღვევს ამ განკარგულებას გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან და მიეცეს სასამართლოში.

დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის.

დამფუძნებელ კრების საქალაქო საარჩევნო კომისია შეუდგა პირადობის ბარათების და კონვერტების დარიგებას. დამფუძნებელ კრების თფილისის საარჩევნო სიები იგივეა, რომელიც იყო შედგენილი ქალაქის ხმოსანთა არჩევნებისთვის. ამომრჩეველთა მიერ ხმის მისაცემათ ქალაქი 14—16 თებერვალს განაწილებულ იქნება 51 უბნათ და ყოველ უბანში იწარმოებს თავისი საარჩევნო კომისია, რომელიც ამ დღეებში იქნება დანიშნული. საქალაქო საარჩევნო კომისიამ ცენტრალურ კომისიის ნება დართვით პარტიებს უფლება მისცა თავისი საშუალებით გაავცელონ ბიულეტენები ამომრჩეველთა შორის თფილისში. ამას გარდა ამომრჩეველთ რომელნიც არ მიიღებენ ამ ბიულეტენებს, შეუძლიათ იგი მიიღონ არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში, არჩევნებამდინ კი საქალაქო საარჩევნო კომისიის ბიუროში.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოარკვია, რომ მთელ საქართველოში დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს 876,910 მოქალაქეს. ამ რიცხვში არ შედის იმ ადგილების მცხოვრებნი, სადაც არჩევნები გადადებულია.

ბარათები მხოლოდ თებერვლის 11-მდე დარიგდება, შემდეგ კი შესწყდება არჩევნების დღემდე, როდესაც საარჩევნო უბნებში შეიძლება მათი მიღება,

კონვერტები ტეხნიკურის მოსაზრებით ამომრჩევლებს არ დაურიგდება. კონვერტები ამომრჩევლებმა უნდა მიიღონ არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში.

რა უნდა იცოდეს ყოველმა ამომრჩეველმა

(ამოსაწერი დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონიდან).

საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა

53. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით.

54. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს.

55. თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას; ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არც ერთი კანდიდატის მეორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნუმერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომადგენელი ორგანიზაციისა, თუ მას ორგანიზაციის სახელი აქვს დართული.

56. კანვერტები საარჩევნო ბარათებისთვის უნდა იყოს ერთნაირი, არაგამჭვირვალი სუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალურ საარჩევნო კომისიისა.

57. საარჩევნო ბარათები და კონვერტები მზადდება ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

ყველა წარმოდგენილი საკანდიდატო სიებისთვის მზადდება თანასწორი რაოდენობა საარჩევნო ბარათებისა.

59. ბარათები და კონვერტები დამზადებისთანავე დაეგზავნება ცენტრალური კომისიის განკარგულებით მთავარ საქალაქო, სამაზრო და საოლქო კომისიებს.

61. მთავარი საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თვითეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს ორი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ საკანდიდატო სიისა და სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩევლებს.

იმას ვისაც უფლება აქვს მიიღოს სახელობითი მოწმობა და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია, მიეცემა: მოწმობა—ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები კი ქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღის.

62. საქალაქო და სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიები ამზადებენ პირამოკრილ საარჩევნო ყუთებს, საარჩევნო ბარათების ჩასაშვებად და უგზავნიან მათ მცირე საარჩევნო ერთეულებს.

64. თვითეულ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი, ან რამდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს, არჩევნების საიდუმლოების დაურღვევლად შეეძლოს ჩასდოს კონვერტში საარჩევნო ბარათი.

67. საარჩევნო შენობაში არ შეიშვებიან: 1) შეიარაღებულნი და 2) ისინი. ვისაც ცხადათ ეტყობა, რომ მთვრალია.

68. თავჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით, თანახმად კომისიის დადგენილებისა, მოსთხოვოს სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებას გამოუგზავნონ მილიციელები, ან ჯარისკაცები.

მილიციელები და ჯარისკაცები სავსებით ემორჩილებიან თავჯდომარეს და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

69. თუ წეს-რიგი დაირღვა. ან თუ კენჭმე კომისიის ან მისი თავმჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილა, კომისიას შეუძლია დაადგინოს შეიყვანოს მილიციელები და ჯარისკაცები შენობაში სადაც არჩევნები სწარმოებს. თუ თავმჯდომარის მოთხოვნა არაა, ასე საარჩევნო შენობაში არავითარი შეიარაღებული ძალის შეყვანა არ შეიძლება.

71. საარჩევნო ბარათი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მიიტანოს და ჩააგდოს საარჩევნო ყუთში.

73. კონვერტს რომ მიიღებს ამომრჩეველი, მიდის მოფარებულ ადგილას და იქ ჩასდებს კონვერტში საარჩევნო ბარათს, დაბრუნდება საარჩევნო ყუთთან და გადასცემს დაბეჭდილ კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ ჩააგდებს კონვერტს ყუთში.

76. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებისამებრ დამზადებულ საარჩევნო ბარათებთან ერთად ნამდვილ ბარათებად ჩაითვლება ისინიც, რომელთა ტექსტი იმ ნაირიეა.

შენიშვნა: საპატიო შემთხვევაში საარჩევნო ბარათების მაგიერ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს სუფთა ქაღალდზე ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი შესაფერისი ნომერი.

77. ნამდვილად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარათი, რომელიც არ შეეფერება მე-54, 55, 56 მუხლებს; 2) ბარათებს, რომელიც შეუვსებულია; 3) ბარათი, ხელმოწერილი ამომჩევლის მიერ, ან ისეთი, რომელზედაც წაშლილია რაიმე, ან ამოფხეკილი ან ზედ რაიმე გამოსაცნობი ნიშანი აზის, ან თუ ისეთ კონვერტში დევს, რომელთაც ასეთი ნიშნები აქვთ; 4) თუ კონვერტში ერთზე მეტია ბარათი და მათი შინაარსი ერთი და იგივე არაა; თუ ერთ კონვერტში რამდენიმე ერთისა და იმავე შინაარსის ბარათია, ყველა ერთ ბარათად ჩაითვლება.

არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა.

93. ვინც თავის ნებით მოაძრობს, მოახევს, ზემოდან რასმე გადააფარებს ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო მოწოდებას, ცნობას ან სიას ამომრჩეველთა იმ ჯგუფებისას, რომელთაც საკანდიდატო სიები წარმოუდგენიათ, დაისჯება დატუსალებით არა უმეტეს ერთის თვის ვადისა ან დაჯარიმებულ იქნება ფულით არა უმეტეს სამასი მანეთისა.

100. ვინც პიროვნებაზე ძალადობითა, დასჯელის (наказуемый) მუქარითა, მოტყუილებით, ძალაუფლების ბოროტად მოხმარებით ან ეკონომიურის დამოკიდებულების საშუალებით ხელს შეუშლის საარჩევნო უფლების მქონეს თავისუფლად განახორციელოს ეს უფლება, —დაისჯება სატუსალოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

101. ვინც ძალადობის საშუალებით, მუქარით, უწესოობის მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათების და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიის შენობაში,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით.

102. ვინც უწესოებით, დაშინებით ან მიმოსვლის საშუალების მოსპობით ხელს შეუშლის ამომრჩეველთა ნაწილს გიმოიყენოს საარჩევნო უფლება,—დასჯილ იქნება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

104. ვინც ამომრჩეველს გადაიბირებს დაპირებით მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადი ან ქონებრივის სარგებლობის მიცემით, რომ უკანასკნელმა არ მიიღოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში.—დაისჯება სატუსალოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნია ან მიუღია პირადი რამ სარგებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნუშნულის მიზნით.

100. ვინც განზრახ დაამახინჯებს ხმის მიცემის შედეგებს საარჩევნო ბარათების ჩამორთმევისა, დათვლისა ან გამოქვეყნების დროს, ან და განზრახ გააფუჭებს, ან მოიტაცებს მიცემულ საარჩევნო ბარათებს ან საარჩევნო წარმოებას, ან სიყალბით ჩაუმატებს საარჩევნო ბარათებს ან შეცვლის საარჩევნო წარმოებას, დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

ამ დანაშაულის ჩადენის შეცდაც დაისჯება.

108. ვინც, წინააღმდეგ კანონისა, გამოაშკარავებს ხმის მიცემის საიდუმლოებას დამფუძნებელ კრების არჩევნებში, —დაისჯება დატუსალებით.

190. წევრი საარჩევნო კომისიისა ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც განზრახ დაარღვევს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებას იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს არჩევნების მსჯელობაზე ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ თუ საზიანოდ, თუ ამისთვის უფრო სასტიკი სასჯელი არ მოელის,—დაისჯება დატუსალებით.

„კლდის“ ბიბლიოთეკა:

დაბეჭდილია

ბრიგოლ ვეშაპელის

„ნაც.-დემოკრატიული პარტია.“

დავით ვაჩნაძის

„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია“

მიხეილ მაჩაბელის

„მიწის საკითხი“

შალვა ქარუმიძის

სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმება.

თითო წიგნის ფასი 15 შაური.

საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საგზო.

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრად ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიათინსკის დაღმართი № 5. სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 21 იანვრიდან საუბნო სასურსათო კომიტეტში დაიწყება იანვრის, თებერვლის და მარტის სასურსათო ბარათების დარიგება. ბარათები დაურიგდებათ მხოლოდ სარაიონო და ბინის კომიტეტებს, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინონ: 1) ახალი ბინის წიგნები, 2) ახალი ბინის სარეგისტრაციო უწყებანი ორ ფურცელზე გადაწერილი, რომლებიც უნდა შეამოწმონ საუბნო სასურსათო კომიტეტებმა, 3) ძველი სასურსათო ბარათები, 4) პიროვნების ვინაობის მოწმობები. მოწმობად ცნობილია: ა) პასპორტი, ბ) მეტრიკული ამოწერილობა, გ) მოწმობა მილიციის უფროსისაგან მოცემული, დ) მოწაფეთა ბილეთი, ე) მოწმობები სხვადასხვა ეროვნულ საბჭოებისაგან მოცემული, თუ უკანასკნელთ აქვთ საკონსულო დაწესებულებათა ხასიათი. სამკურნალოები, თავ-შესაფარი ბინები, პანსიონები და სხვა მაგვარი დაწესებულებანი მიიღებენ ბარათებს საბარათო განყოფილებაში.

(2—2) სასურსათო განყოფილება თფილისის ქალაქის გამგეობისა.

„კლდის“ ბიბლიოთეკა:

გათუმის ქართველთა

ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიებს ორივე სქესისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიაში თავიანთი შვილები მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები:

1. სქესი მოსწავლისა,
2. რაოდენობა და
3. რომელ კლასში სურს შესვლა.

სწავლის უფლება იქნება არა უმეტეს იმისა, რაიც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში. მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეიტანეს მეორე ნახევარი სწავლის ფულისა, ეს ფული დაუბრუნდებათ.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი № 18—31. კონტორა ქართულ ქარვასლაში, სახახლის ქ. № 5.

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი“

ამით აცხადებს, რომ მის საწყობებიდან იყიდება დიდძალი ხილი ვაგონოებით და ფუთოებით.

როგორც კერძო პირთა, ისე დაწესებულებათათვის ფრიად ხელმისაწვდომ ფასებში.

იარმუკაში, მუხრანიანთ სახლი ამხ. „ქართლი“.

ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26. ტელეფონი 4—75.